

**საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№1137 2014 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი**

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ევროპულ და
ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის თანხის
გამოყოფის შესახებ**

ქ. ბათუმში მიმდინარე წლის 10-11 ივლისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გამოეყოს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი

ი. ღარიბაშვილი